№ 143 18 მკათათვე, სამშაბათი 1866–1878 18 მკათათვე, სამშაბათი № 143

რედაქცია: სოლოლაკზე, სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლში, № 8.

კანტორა რედაქციისა: სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8.

ხელის-მოწერა მიიღება კანტორაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა—8 მან., ნახევარ წლისა—4 მან. და 50 კაპ., ოთხის თვის—3 მან.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

დროება

ცალკე ნომერი ღირს შაურათ

განცხადება: მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვ. ენებზე.

ფასი განცხადებისა: დიდი ასოებით ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით სტრიქონზე—8 კაპ., ჩვეულებრივის ციცეროთი—5 კაპ., პატარა—4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

მიიღება ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

„დროებაზე“

ფასი ნახევარი წლის გაზეთისა (პირველ ივლისიდამ პირველ იანვრამდინ 1879 წლისა) 4 მან. და 50 კაპეიკი.

ხელის-მოწერა მიიღება: თფილისში, (სერგიევის ქუჩაზე, Iვ. ამირალოვის სახლებში, № 8). ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: *Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“*.

უმორჩილესად ვთხოვთ იმ ხელის-მომწერლებს, რომელთაც მარტო ნახევარი წლის გაზეთის ფული აქვთ შემოტანილი, რომ, თუ ჰსურთ გაზეთი თავის დროზე და დაუბრკოლებლივ მიიღონ, რაც შეიძლება დაუჩქარონ დანარჩენი (მეორე ნახევარის) ფულის შემოტანას.

ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სან-სტეფანო, 14 ივლისს. რუსის არმიაში აქეთკენ სულ 29,048 კაცია ავათ. არავითარი გადამდები ავათმყოფობა არ არის აქ რუსის არმიაში.

სტამბოლი, 14 ივლისს. ამბობენ, რომ ინგლისსა და ოსმალეთს შუა ახალი პირობა უნდა იქნეს შეკრული, რომლის ძალითაც ინგლისს მიეცემა უფლება, რომ სომხეთისა და მესოპოტამიის გამგეობაში მონაწილეობა მიიღოს.

ნიჟნი ნოვგოროდი, 15 ივლისს. იარმუკა გაიხსნა. დღემდინ მარტო ნახევარი მაღაზიებია დაქირილი.

საქართველო

დღიური

⁂ ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოყვანილი, რომ თფილისის სომხები აპირებენ ახლად-შეძენილს ბათუმის მაზრაში მიწების შეძენასაო.

გაზეთის „გოლოსის“ ოდესელი კორრესპონდენტი იწერება ახლა, რომ აქ მცხოვრები უცხო ქვეყნელები, განსაკუთრებით ინგლისელები, კამპანიას ადგენენ იმ განზრახვითო, რომ ბათუმში მიწები იყიდონო. კორრესპონდენტი ამბობს, რომ „თუ რაიმე ღონის-ძიება არ მიეიღეთ, ბათუმი და მთელი იმის მაზრა, უეჭველია, ინგლისელების საკუთრებათ შეიძინება.“

⁂ ამბობენ, რომ იმ შვეიცარიელებს, რომელნიც ჩვენში აპირებენ დასახლებას, ბორჯომისა და თელავს შუა ამოურჩევიათ ადგილი და აქ უნდათ დასახლებაო.

⁂ მოგვცხსენებათ, რომ ყველა ახალ-მოგროვილ მილიციონერებს მანგლისში გზავნიან სამხედრო ვარჯიშობისათვის. ამ მილიციონერების თაობაზედ გაზეთს „თფილისის მოამბეში“ იწერებიან.

„ამ ჟამად ქართველი ათასზე მეტი მილიციონერი იმყოფება მანგლისში; ყველა ახალგაზრდა, მხნე ბიჭები არიან, ამ მოკლე ხანში ათასს კაცს მოელიან კიდევ. ტანისამოსი ამათ იქნება, ისეთივე;

ფელეტონი

არტაანიდამ

(„დროების“ კორრესპონდენცია)

— ურა! შერიგება, ურა!—ამ ყვირილით შემოვარდა გულ-გახეთქილი ჩემთან ერთი ჩემი ამხანაგი, როცა მე ვიჯექი და ვფიქრობდი: რა დავსწერო იმისთანა, რომ მეგაზეთეს მოეწონოს და მკითხველსაც იამოს-მეთქი...

როცა ჩემისთანა გამოუცდელი კაცი კალამს იღებს და უნდა რაიმეს წერა, არ იცის რაზე სწეროს. აშფოთებული ფიქრობს: კერძო ცხოვრებაზე სწეროს, თუ საზოგადო ცხოვრებაზე? მუდამ კერძო ცხოვრებაზე ილაპარაკოს კაცმა, საამო არ იქნება. აბა მიბრძანეთ, მუდამ იმაზე ვწეროთ, რომ ეს ამავალი ასე ქრთამს იღებს, ის იმავალი ისე უსინიდისოთ, უსამართლოდ იქცევა; აქ კაცი გაჰქურდეს, იქ გაცარცვეს, ამავალი ასე, იმავალი და ჩამავალი ისე;—რა გამოვა? მუდამ ერთი და იგივე მკითხველს იამება?—რასაკვირველია არა, მიპასუხებთ: მუდამ ფლავის ჭამა და პალვის ყლაპვაც მოსწყინდება კაცსა, არა თუ მაგისთანა უსიამოვნო ამბების სმენა.

საზოგადო ცხოვრებაზე რამ ვილაპარაკოთ, იმისი ნაწილები უნდა ვიცოდეთ; ამ ცოდნისათვის სათვალეები უნდა ჰქონდეს კაცს, რომ კარგათ დაინახოს ისა. სამწუხაროდ მე ჯერ არა მაქვს ის სათვალეები. . .

მაშ მანამ ახლა ვილაპარაკოთ იმ დღიურ მოვლინებებზე, რომელიც ჩვენ გარეშე გვარტყია და ხან თვალში და ყურში გვეჩრებიან, მოსვენებას არ გვაძლევენ. . .

ახლა ჩვენ არტაანში გვიდგია კრიალა გაჩაღებული ზაფხული. პირველის გავლილი თვის და უფრო გავლილის უკანასკნელს რიცხვებში წვიმებმა მოგვაბეზრეს თავი. ჰავაც ერთ ნაირი არ იყო, კაცი ვერ გაიგებდა: ცივა, ცხელა, თუ გრილა.

აქაურ უხეიროდ ნაშენ სახლებმა ხომ სულ ჩარა და „ზაჰლა“ წაიღეს! აწვიმდებოდა თუ არა, სახლებში გაჩნდებოდა ტბები. ღამე კარავებში თუ სახლებში დაწოლის დროს ისე წარმოვიდგენდით, ვითომ სადმე ტბის ანუ მდინარის პირზე ვწევართო და გადაბრუნ-გადმობრუნების დროს სიფრთხილე უნდა გვქონოდა, რომ ტბაში არ ჩავცვინდეთ... ეს ფიქრი ძილშიც ღრმად ყველას ჩაჰყვებოდა ხოლმე.

ახლა, მადლობა ღმერთსა და დიდება ალახს, გადავრჩით იმ შემავიწროებელს შეწუხებას...

შერიგება (სრული) არ იყო, მაგრამ მშვიდობა კი გახლდა. მეომრები მეტის უსაქმობით ამთქნარებდნენ დღისით, ღამე კი ყველას ესზმანებოდა—„სრული შერიგება.“

ერთხელ ჩემთან მოვიდა ერთი აფიცარი და დამეკითხა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორიც ქართველების დრუჟინასა აქვს. მაენი ძალიან მარჯვედ და მალე სწავლობენ ყოველგვარ სამხედრო ვარჯიშობას.“

*** სოხუმის მაზრის უფროსს უფ. არაკინს უცნობებია კავკასის სანიტარულ მთავარ კომისისათვის, რომ სოხუმის გასუფთავებისა და გაჯანმთელებისათვის 30,000 მანეთი არის საჭირო. ამ საგნის დაწვრილებით გამოსაძიებლად კომისიას ერთი თავის წევრის უფ. ზოგაჩოვის გაგზავნა გარდაუწყვეტია სოხუმში.

*** ამ თვის 10-ს ჩვენს ქალაქში დაიწვა სანთლისა და საპნის ქარხანა მადამ ტოლესი. ამის გამო ხსენებულს ქარხანაში მუშაობა დროებით შეჩერებულია. ამ გარემოებას, უეჭველია, გავლენა ექნება განსაკუთრებით სანთლის ფასზე, რადგან, რამდენათაც ჩვენ ვიცით, მადამ ტოლეს სანთელს ჩვენს სოფლებში დიდი გასავალი ჰქონდა.

*** ბაქოს გაზეთის სიტყვით, ამ უკანასკნელ ხანებში ნავთი გაძვირებულა ბაქოში: ფუთი ნავთი, რომელიც ადრე კაპეიკად ისყიდებოდა, ახლა 4-5 კაპეიკ ნაკლებ აღარ ისყიდება.

*** ქუთაისიდამ გვწერენ, რომ წელს იქითკენ მშვენიერი მოსავალი არის ყოველგვარი ხორაგისა. განსაკუთრებით ბლომათ მოსულა სიმინდი და ღომი, რომელნიც თითქმის საზრდოს შეადგენენ იმერეთისათვის. ხილიც წელს ძალიან ბლომათ არისო. მაგრამ მუშახალხისა და საქონლის სიძვირეს უჩივიან.

*** კახეთიდამაც კარგ ამბავს იწერებიან წლევანდელს მოსავალზე. პური ბლომათ მოგვივიდაო; ღვინის იმედიც გვაქვს, თუ შემდეგში სეტყვამ ან კალიამ არ გაგვიფუჭაო. მაგრამ იქითაც მუშის სიძვირეს უჩივიან: უპრალო დღიურს მუშას დღეში მანეთ ნახევარ-ორ მანეთ ნაკლებ ვერ ვშოულობთო.

*** ქართლიდამ კი ამისთანა სანუგეშო ამბები არ მოგვდის მოსავალზე. თუმცა პური ბლომათ მოსულა, მაგრამ მომეტებულის ქირასა და სიცხისაგან თავთავში მარცვალი არ გაზრდილა, წვრილათ დარჩენილა და ისე მოუმკიათ.

მაგიერად მუშა ხალხი ქართლისაკენ უფრო იაფად არის თურმე, ვიდრემ კახეთისა და იმერეთისაკენ: დღეში ოთხ აბაზ—მანეთზე მეტს არ აძლევენ. ამის მიზეზი, როგორც გვითხრეს, ის არის, რომ გორში დაყენებულის ჯარიდამ უშვებენ სალდათებს სოფლად და ესენი ძალიან კარგ მუშათ ითვლებიან, მარჯვედ მკიან პურსა და იაფადაც მუშაობენ.

მართლა, ურიგო არ იქნება, რომ სხვა ადგილებში დაყენებულ ჯარების კამანდირებმაც წაბაძონ ამ შემთხვევაში გორისას და ამ მშვიდობიანობის დროს გაუშვან დროებით თავის მუქთად მყოფი სალდათები სოფლის სამუშაოზედ. ამით ხალხიც მოგებაში დარჩება და ხაზინაც.

წერილი რედაქტორთან

უ. რედაქტორო! მადლობა ღმერთსა, რომ თქვენმა პატივსაცემელმა გაზეთმა „დროებამ“ ამოიღო ხმა და შესდგა ფეხი იმ ასპარეზზე, რომელზედაც მიდის დინჯათ პატივცემული „ივერია“! იმ შენიშვნამ, რომელიც შეხვდა თქვენს გაზეთში, გამაბედვინა მოგწეროთ ორიოდე სიტყვა იმ საგანზედ, რომელიც არის საზოგადო, საქვეყნო საგანი.

რომ უფრო კარგათ გასაგებათ დარჩეს დედა-აზრი ამ შენიშნვისა, ამიტომ მოვიყვან თქვენი გაზეთის (ამ წლის № 134) სიტყვებს და თითო-თითო წინადადებას გავარჩევ.

„ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქართული გალობის ნოტებზედ გარდასაღებად ამ ჟამად ტფილისში კომისია არის შემდგარიო.“

ეს მეექვსე თვეა, რაც კომისია შემდგარია, მარამ გროში-კაპეიკის საქმე კი არა გაურიგებია-რა. ამ კომისიის წევრნი ისე უენერგიოთ ეკიდებიან თავის ვალს, რომ წინათვე დარწმუნებით იტყვის ძაცი: „ვერაფერს, გროში კოპეიკის საქმეს ვერ გაარიგებენ!“ მართალიც არის! დაუნიშნავთ იმისთანა წევრნი, რომლებზედაც შეიძლიან ვსთქვა, რომ გალობა და იმისი გემოვნება, სული და ხორცი გალობისა ისე აქვსთ გამჯდარი თავში, როგორც მე ჩინური ენის გემოვნება სული და ხორცი ჩინურის პოეზიისა.

მამა გრ. კარბელოვი, საუბედუროთ, ეხლა ველარ აასრულებს ამ საზოგადოებისაგან მძიმე დავალებას. ეხლა თურმე ამასლა ამბობს: „როცა შემეძლო, მაშინ კი ყურიც არ მათხოვესო, და ახლა,

---

— სრულ შერიგებას ამბობენ; მართალია?

— სულაც არა, უპასუხე. იქნება მოგეზმანათ, უფალო, ძილში-მეთქი. უფალი გაწითლდა, ბოლოს მართლა მიალვიარა, რომ ვგონებ, სიზმარში მელანდებაო, მე კი, მირთლა, ნამდვილი მგონიაო. . .

ავსილან ყველანი: ზოგი ფულით ზოგი ჩინით ზოგი ჩინით და ფულით, ზოგი მარტო ჯვრით; ამას თუმცა ფული და ჩინი არ ღირსებია, მაგრამ იმ ჯვრის მადლის იმედი აქვს;

ილაჯ-გაწყვეტილი და უსაქმობისაგან მობეზრებულები, შოშიასავით პირებ-დაღებული ცას და ფოჩტის ფურგუნს დავცქეროდით ხოლმე, რომ ერთი როდის მოვა ის დალოცვილი ფურგუნი ან ვინმე, რომ გვიამბოს ამბავი რაიმე. ხანდის-ხან ტელეგრამმები მოდიოდა ხოლმე, ისიც იმისთანა შიჭიდრული აზრებით, რომ ნუგეშის მაგიერად უფრო გულებს გვიხეთქავდა ხოლმე. იმ დღიდამ, რაც ომი დაწყნარდა, მეომრები უკან დარჩნენ, ბრძოლის ველზედ ამოვიდნენ მკურნალები, წითელ ჯვრიანი დები და ძმები; მეომრები თათრებს ებრძოდნენ, მკურნალები უჩინო მტერს — ავათმყოფობას. პირველნი ხედავდნენ თავიანთ მტერს, უკანასკნელნი — ვერა და თავის დღეშიც ვერ დაინახვენ....

მაგრამ ამ უკასკნელებმაც გაიმარჯვეს, რადგან თვით ბუნება ეხმარებოდა მათ და ვინც ავად იყო, მოკვდა, ვინც არა და თავისთვის არიან.

მეორე გამარჯვება „არშინოკრატებისაა.“ იმათი დროშა უფრო მხიარულად და უფრო კმაყოფილად ფრიალებს, ჰაერში და იმ დროშას აწერია:

„რაერთიც გინდა, მოატყუე; რაერთიც გინდა და სინიდისი ნებას გაძლევს, იძვირეთ: დრო, ბურთი და მოედანი თქვენია!“

დიდით დაწყობილი პატარამდისინ, უნცროსით უფროსმდი........ სალდათამდი სულ ვაჭრები არიან. ერთის სიტყვით, ახლა არტაანი სამხედრო-სავაჭრო-ქალაქია....

აგერ დღეს მივიღეთ ტელეგრამმა! ხმა ტკბილი, ხმა საამური, ხმა მშვიდობისა და შერიგებისა! ამ ხმით ალტაცებული აფიცრები დღეს მუზიკით ქუჩა-ქუჩა დადიან და მხიარულობენ. „ურას“ ძახილი და შამპანსკის ბოთლების გრიალი ცაში ანგელოზებს ათრთოლებენ....

ამას რომ ვსწერდი, ჩემთან შემოვიდა სხვა ნაცნობი—მეტის-მეტი ხუმარა და ახირებული ხასიათის კაცი. ქართველი იყო.

— რასა სწერ? მკითხა იმან.

— რასაც ვხედამ ჩემს გარშემო დღეს —შერიგებაზე.

— გიხარიან მერე?

— რასაკვირველია! რას სულელობ? ქვეყანას უხარიან და მე არა?!

— . . . .

ს. ბავრელი

არტაანი, 4 ივლისს.

კი, როდესაც ასე მოუძლურდი, ახლა მომმართა საზოგადოებამ.“

დამნაშავეთ ის სრულებითაც არ გამოდის, და თუ ამ საქმეზე ყურადღება მიექციათ წინათვე, მერწმუნეთ, რომ ჩვენ ჩვენი მთელი გალობა გვექნებოდა, საკუთარი ნოტებიც, როგორც სომხებს. მარამ ქართველები ვართ, ქართველები: მანამდისინ გაჭირებას პირის-პირ არ შევეტაკებით, მანამდისინ საქმეზე არ ვჰფიქრობთ. (ეს უკანასკნელი ხასიათი მე მეგონა მარტო გლეხებშია-მეთქი; მარამ ეხლა დავრწმუნდი, რომ განათლებულ ქართველებშიაც ყოფილა).

„არხიმანდრიტი მაკარი ბურიაში მიდიოდა, იქაური მგალობლების მოსაყვანათაო.“ კომისიას ის კი არ მიუღიათ მხედველობაში, რომ მ. კარბელოვის გალობა არის ნამდვილი გურული გალობა, მხოლოდ წმინდა შეუცვლელად შენახილი. მეფე ირაკლი მეორემ მოიყვანა ერთი ბერი ქალაქში; გახსნა აქ სასულიერო პირთათვის მშვენიერი შკოლა, სადაც დახელოვნებით სწავლობდნენ ქართულ გალობას და მწიგნობრობას. ამ ბერის მოწაფეთა შორის შესანიშნავნი იყვნენ: გერონტი პირველი, ბიძინა არხიმანდრიტი, სოფრონ არხიმანდრიტი, პატარა გერონტი მეორე, რომლისაგანაც კარბელოვის მამასა და თითონ იმასაც უსწავლიათ გალობა. მარამ ახლანდელ მღ. გრ. კარბელოვი უფრო მამისაგანაა ნასწავლი.

მაშ ეხლანდელ გურულისა და მ. კარბელოვის გალობის შორის განსხვავება არ იქნება. ახლანდელი გურული გალობის მაგალითი აქ წარმოუდგინა უფ. მრევლოვმა, მაგრამ დაუწუნეს! ეს მრევლოვის გალობა ერთი ძველი ბერის—ნიკიფორესაგან ყოფილა ნათქვამი..

N. N.

ომის შემდეგ

ბერლინის კონგრესსი

მოგვყავს ის მუხლები ბერლინის ტრაქტატისა, რომელნიც ჩვენი მკითხველებისათვის უფრო საინტერესო უნდა იყოს:

„მ უ ხ ლ ი 58. ბრწყინვალე პორტა უთმობს რუსეთის იმპერიას არტაანის, ყარსისა და ბათუმის მაზრებს ბათუმის ნავსადგურით-თურთ.

„ახალი სამზღვრები იწყება შავ ზღვასთან და მიდის ჩრდილოეთ-დასავლეთისაკენ ხორდამდინ და სამხრეთისაკენ ართვინამდინ, საიდამაც პირ-და-პირ გადასჭრის მდ. ჩოროხს სამხრეთით ნარიმანამდინ; ოლთისი რუსეთის სამზღვარში რჩება.

„მ უ ხ ლ ი 59. მისი უდიდესობა რუსეთის იმპერატორი აცხადებს, რომ იმას აქვს განზრახვა ქალაქი ბათუმი სავაჭრო თავისუფალ ნავსადგურად გახადოს.

„მ უ ხ ლ ი 60. ალაშკერთის მაზრა და ქალაქი ბაიაზეთი, რომელნიც, სან-სტეფანოს მორიგების ძალით, რუსეთს რჩებოდა, ოსმალეთს უნდა დაუბრუნდეს.

„ბრწყინვალე პორტა უთმობს სპარსეთს ქალაქს კოტურს თავის მაზრით.

„მ უ ხ ლ ი 61. ოსმალეთის მმართებლობა კისრულობს, რომ დაუბრკოლებლივ შემოიღოს რეფორმები და სხვა-და სხვა ცვლილება მცირე აზიის იმ მაზრებში, რომელნიც სომხებისაგან არიან დასახლებულნი; დაიცვას ისინი ჩერქეზებისა და ქურთებისაგან.

„მ უ ხ ლ ი 13. პარიჟის ტრაქტატი 1867 წლისა და აგრეთვე ლონდონის ტრაქტატი 1871 წლისა რჩებიან შეუცვლელად გარდა იმ მუხლებისა, რომელნიც ახლანდელი ტრაქტატის ძალით არ შეიცვლებიან.“

—

„პოლიტიკურს კორრესპონდენციაში“ იწერებიან, ოსმალეთის მმართებლობამ გაგზავნა სტამბოლიდამ ქურთისტანში კომისარი, რომელსაც სხვა-და-სხვა რეფორმების შემოღება აქვს მინდობილი ამ ქვეყანაშიო.

—

სტამბოლელი კორრესპონდენტი ვენის გაზეთის „პრესსისა„ იწერება, რომ ოსმალეთის მმართებლობას ინგლისისაგან მოუვიდა ცნობაო, რომ მცირე აზიის ყველა ქალაქებში დანიშნული იქნება ინგლისის მხრით კონსულებიო, რომელნიც ამ ქვეყანაში რეფორმების შემოღებას უგდებენ ყურსაო.

—

„მოსკოვის უწყებების“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია შემდეგი დეპეშა 8 ივლისს სტამბოლიდამ მიღებული:

„გუშინ ღამით იყო აქ ოსმალეთის მინისტრების რჩევა საბერძნეთის მოთხოვნილების შესახებ, რომელზედაც თვითონ ხონთქარიც დაესწრო. პორტამ გარდაწყვიტა, რომ არამც-და-არამც არ დაუთმოს საბერძნეთს არცერთი ნაჭერი მიწა და თუ რასმეს დაუ[illegible] ევროპამ დაუბრუნოს [illegible] ის მიწები, რომელიც მომავალ ბოლგარიის სამთავროს შეადგენს.“

—

ამავე გაზეთში მოყვანილია შემდეგი ცნობა:

„როდოპის არეულობის მიზეზის გამოსაკვლევად და დასაშოშმინებლად, ამ დღეებში იგზავნება სტამბოლიდამ ევროპის უმთავრესი სახელმწიფოების წარმომადგენელთაგან შედგენილი კომისია.

„რადგან საბერძნეთთან ამჟამად მოლაპარაკებაა, ამის გამო ოსმალეთმა გადაწყვიტა, რომ ვოლოში აღარ გაგზავნოს ახალი ჯარები. მაკედონიის ოსმალოს ჯარების უფროსებმა კი ახალი ჯარები მოითხოვეს იქაური აჯანყებულების დასამშვიდებლად.“

—

ავსტრიას გაუგზავნია ოსმალეთის მმართებლობისათვის ნოტა და უთხოვნია, რომ ბოსნიიდამ და ჰერცოგოვინიდამ გაიყვანოს თავის ჯარები. ამბობენ, ოსმალეთი იძულებული არისო, რომ ამ წინადადებაზე დაეთანხმოს ოსმალეთსაო.

განცხადებანი

დაიბეჭდა და ისყიდება უფ. გიგო ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში; ახალი წიგნი.

ლექსთა კრება

თ. გრიგოლ ორბელიანისა, ილია ჭავჭავაძისა, აკაკი წერეთლისა, ანტონ ფურცელაძესი, ივანე კერესელიძესი, იოსებ ბაქრაძესი და სხვებისა.

შეკრებილი და გამოცემული
ზაქარია ჭიჭინაძისა
ფასი ორი შაური.

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში და თელავს—სასულიერო სასწავლებელში, უფ. ცანციევთან

„ბატონიშვილი ირაკლის
პირველი დრო
ანუ თავდადება ქართველთა“

ტრაგედია ოთხ მოქმედებად ,თხუზ. თ. ალექსანდრე ჯამბაკურიან-ორბელიანისა.

გამოცემული ზ. ჭიჭინაძისაგან
ფასი 30 კაპეიკი

გაიხსნა თფილისში

ქართული წიგნის მაღაზია,

სადაც მსურველთ შეუძლიანთ მოიპოვონ ყოველგვარი ქართული ძველი და ახალი წიგნები.

მაღაზია იმყოფება ქაშვეთის ეკლესიის ქვემოთ დუქნებში, № 2.

გარეშე მცხოვრებთ შეუძლიანთ დაიბარონ ყოველგვარი ქართული წიგნები შემდეგის ადრესით: Въ Тифлисъ. Въ книжный магазинъ Григорія Чарквіани, въ зданіи Кашветской церкви, № 2.

ქუთაისში

ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში ისყიდება:

1) დედა ენა, ი. ბოგებაშვილისა, ფასი 45
2) ანუკა ბატონიშვილი, ისტორიული მოთხრობა გრ. რჩეულოვისა ფასი 20 კ.
3) ცოლი ვიტირო, თუ ფული? კომედია აღ. თუთაევისა, ფასი 30 კაპ.
4) ვეფხვის ტყაოსანი, შოთა რუსთველისა, ფასი 50 კაპ.
5) მეფე ლირი, დრამა შექსპირისა, ფასი 60 კაპ.

და აგრეთვე სხვა ყოველგვარი ქართული და სახელმძღვანელო რუსული წიგნები კარტები, ატლასები, სურათები და სხვ.

ისყიდება თფილისში „ცენტრალურს წიგნის მაღაზიაში“ ქართული

„სამზარეულო წიგნი“

შედგენილი ანა ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

ისყიდება თფილისში „ცენტრალური წიგნის მაღაზიაში“ ქართული სამზარეულო წიგნი“. შედგენილი კ-ნ. ბარ. ჯორჯაძისაგან. ფასი ათი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

„თამარ ბატონიშვილი“

ხუთ-მოქმედებიანი დრამა საქართველოს მე-XIII საუკუნის ცხოვრებიდამ, გადმოკეთებული გრ. რჩეულოვის რომანიდგან „საქართველოს თამარ ბატონიშვილი“

კ. მეახისაგან.

ისყიდება: თფილისში—ყველა წიგნი მაღაზიებში,
ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ფასი ყველგან ექვსი შაური.

გამოვიდა და ისყიდება

„ცოლი ვიტირო, თუ ფული?“

კომედია აღ. თუთაევისა

ისყიდება: ქალაქში—ყველა წიგნის მაღაზიებში და ალექს ჯიმშეროვთან, თელავს—იოსებ ალუბმანაშვილთან, ქარელს—დავით შერვაშიძეთან, ხაშურისა და ბორჯომის უფეტში, სურამს—ზაქარია ალუწოვთან, ქუთაისს—იაკობ ოჰანეზოვთან და სვ. ცერვაძესთან ფოთში—ელისბარ ბაბალოვთან, ცხინვალს—თ. ივ. თაქთაქოვთან, სალაშეთს—თ. ნიკ. დიასამიძესთან, მეჯვრისხევს—მასწ. მოსე ნათაძესთან, ბორში—სტ. ზომოევთან და თვითონ ავტორთან.

ვისაც ჰსურს მოიპოვოს **ახალი ქევრი** შეუძლიან მიჰმართოს ნ. ავალიღვილს, (ალუკიაში, ელისავეტინსკი-ქუჩაზე, № 108), რომელიც კისრულობს ამ ქევრების გაკეთებინებას თავის ხელმძღვანელობით.

ნახევარი წლის ხელის-მოწერა გაზეთს

„ობზორზე“

(1 ივლისიდამ 1878 წლის 31 დეკემბრამდინ) მიიღება „ობზორის“ კანტორაში (ბოლოვინის პროსპექტზე, სახლის № 7); ვაგზავნითა და მიტანით ფასი 8 მანეთი. ქალაქს გარეშე მცხოვრებლებმა გაზეთი ამ ადრესით უნდა დაიბირონ: Въ Тифлисъ, въ редакцію газеты „Обзоръ“. ვისაც ჰსურს ხელის-მოწერის კვიტანცია მიიღოს, 5 კაპეიკიანი ღერების მარკა უნდა გამოგზავნოს.

სხვა ადგილებზე ხელის-მოწერის პირობა ისევ ძველი დარჩება: ერთის წლით—15 მან., სამი თვით—4 მან. და 25 კაპ. და ერთის თვით—1 მან. და 50 კაპ. მსურველს შეუძლიან მთელის წლით მოაწეროს გაზეთზე ხელი და ფული კი ყოველი სამი თვისა წინათვე წარმოადგინოს.

ახალი წიგნი

„ცოლი თუ გინდათ, მა არის!“

ერთ-მოქმედებიანი ვოდევილი

ისყიდება: თფილისში—პაოთანოვის წიგნის მაღაზიაში.

ქუთაისში—ანტ. ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ქირი

გასასყიდი, ვისაც ჰსურს, შეუძლიან იყიდოს ალუკიაში, ნიკოლაევის ქუჩაზე, საცა ვ. ლ. პოტკოვის სპირტის სარდაფია სახლის № 44.

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	21	5	18				
მცხეთა . .	10	11	6	27	-	68	-	38
ბორი . .	11	58	9	43	2	40	1	33
ხაშური . .	1	29	11	57	3	92	2	18
სურამი. . .	1	44			4	42	2	46
ალვირილ. .	5	49			5	81	3	23
რიონი. . .	6	57			6	75	3	75
სამტრედია .	7	51			7	73	4	29
ახ.-სენაკი .	8	43			8	57	4	76
ფოთი. . .	9	50			9	75	5	42
ფოთი . .	9	83						
ახ.-სენაკი.	10	14			1	18	-	66
სამტრედია.	11	5			2	6	1	14
რიონი . .	12	13			3	4	1	69
ალვირილ. .	1	18		ღამე	3	98	2	21
სურამი. . .	5	12	1	10	5	33	2	96
ხაშური . .	5	39	1	37	5	84	3	24
ბორი . .	7	5	4	8	6	36	4	9
მცხეთა .	8	50	6	59	9	8	5	4
ოელავი .	9	31	7	56	9	75	5	12

ტელეგრაფი

ოცი სიტყვა თფილისიდამ:

	მ.	კაპ
ქუთაისს, ფოთს . .	1	—
ბორს, დუშეთს, სიღნაღს	-	50
როსტოვს, ოდესას, მოსკოვს	2	—
პეტერბურგს, ვარშავას . .	2	—
ოსმალეთში, შვეიცარიაში	3	—
იტალიაში და საფრანგეთში.	3	50
ინგლისში	3	75

ფოსტა

ა) თფილისიდამ: სამზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და სამშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ქახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე, კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

წიგნის გაგზავნა რუსეთში	კაპ.
და სამზღვარ გარეთ:	
ლია წიგნის	4
დაბეჭდილის (სამი მისხალი)	8

მაზარდა

	მან	კაპ
თფილისი, 15 ივლისს.		
ფქვ. თეთ. ბანჯისა, ფუთ.	1	50
ფქვილი ფითელი. . .	1	30
ქერი ფუთი . . .	1	15
ბამბა მრეკვნისა, ფუთი .	7	—
— ამერიკისა, ფუთი . .	7	50
ბაპენტილი ბამბა ფუთი.	10	—
მატყლი თუშური ფუ.	8	—
—მარაღაბისა ფუ. .	4	—
აბრეშუმი ხუხური სტ.	2	—
ძონი, ფუთი. . .	6	50
ძონის სანთელი ფუთი.	9	—
სტეარინის სანთელი, ფ.	12	80
ხორცი ძროხისა. ლიტ.	—	81
—ცხვრისა, ლიტრა .	—	81
სპირტი, ვედრო . .	5	20
შაქარი, ბროც. ფუთი .	7	70
—ფხვნილი ფუთი . .	6	40
ტყავ ბოგვალი, ბირკ. .	—	70
ზეთი ქუნჯუთისა ფუთ.	13	—
თამბაქო, საუალო ფუთი	8	50

თფილისის სამკურნალო

ერევნის მაედანზე, წინამძღვაროვის სახლებში.

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველ დღე, კვირას გარდა, დილის 9—1 მდინ.

ორშაბათს: ძიუჩარიანც—ხიროურგი, ბარალეიჩი—შინაგ. ავათმყ.

სამშაბათს: ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფობის, რეიხი და ბახუტონი—ბებიაობის თვალის.

ოთხშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ., ბაკეტი—გულის და ნერვების ავათმყოფ.

ხუთშაბათს: ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფ. ბავრინსკი—თვალის და ოპრეტი—კბილის.

პარასკევს: ვერმიშევი—შინაგ. ავათმყოფ. ბახუტოვი და ძიუჩარიანც.

შაბათს: ვერმიშევი შინაგანი ავათმყოფობის., რეიხი—თვალის ავათმყოფ. და ბაკეტი—გულის და ნერვების.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 17 Іюля 1878 г. Типографія Меликова. გამომცემელი ს. ველიჰიშვილი. რედაქტორის. მესხი.